

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №53

ქ. თბილისი

2019 წლის 16 აგვისტო

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. 2019 წლის 25 ივნისის სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს #51 ოქმით მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების თაობაზე და საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დებულების (დანართი 1) დამტკიცების საკითხების წარდგენა.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურების საკითხი.


სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. ა) გაუქმდეს ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის 25 ივნისის N51 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებისა და აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნის თაობაზე.
ბ) საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნას საქართველოს მთავრობის მიერ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების საკითხი.
გ) საქართველოს მთავრობის სხდომაზე განსახილველად წარდგენილ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დებულების დამტკიცების საკითხი.
დ) მოწონებულ იქნას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დებულების პროექტი (დანართი 1).
2. „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ამ კანონით დადგენილი ნორმები არ ვრცელდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დასაქმებულ იმ პირებზე, რომელთა შრომის ანაზღაურება ფინანსდება ათასწლეულის გამოწვევის პირველი კომპაქტის ფარგლებში შექმნილი საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან (GRDF) ამონაგები თანხებით.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

მამუკა ბახტაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა
და სპორტის მინისტრი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე




ივანე მაჭავარიანი

საქართველოს ფინანსთა მინისტრი




თეა წულუკიანი

საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე (პ/ნ 01010002871)

ა(ა)იპ ფონდი საერთაშორისო განათლების ცენტრის (ს/ნ 204494555)
დირექტორი

